

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 6

ქ. თბილისი

31.01.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლომჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო დობორჯგინიძე - ვიცე-რექტორი.

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

გიორგი წანაწყენიშვილი - კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის ხარისხის მენეჯერი;

ილიას ჩილოდღუ - რექტორი;

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის სამსახურის უფროსი;

გოდერძი ბუჩაშვილი - პრორექტორი;

ჯიჰან მერტი - დეკანი.

3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:

თეიმურაზ ქორიძე - რექტორი;

დავით გუგავა - სამართლის სკოლის დეკანი;

თამარ ტუფინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ეკა სირაძე - ასოცირებული პროფესორი;

მაია თორდია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

პოლიკარპე მონიავა - პროგრამის ხელმძღვანელი.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ზვიად ღურჯაია - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;

ზურაბ ბაიაშვილი - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

პაატა კერვალიშვილი - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი.

5. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი:

ნოდარ პაპუკაშვილი - რექტორი;

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

ნანა მდინარაძე - მედიცინის სკოლის პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- გიორგი ქურდიანი;
- დიმიტრი გეგენავა;
- ეკატერინე ქარდავა;
- გიორგი მახარობლიშვილი;
- თათია უბერი;
- ციცილო თურქაძე;
- ტატიანა ტრეტიაკოვა;
- ნინო კორსანტია;
- ეკატერინე ბეშვენაძე;
- ზურაბ ალხანიშვილი;
- ვახტანგ თებიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:45 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის

მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა მაია გელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განხილული ყოფილიყო მესამე საკითხად, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით მათ უნივერსიტეტში დაგეგმილი იყო მნიშვნელოვანი ღონისძიება. საბჭოს თავმჯდომარემ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და საბჭოს წევრებს წარუდგინა ახალი დღის წესრიგი:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ციფრული ჰუმანიტარია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორი 1124
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაც ილება განაცხადა საბჭოს წევრმა - სოფიკო ლომჯანიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის წევრები. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წინასწარ იქნა შესწავლილი განსახილველი საკითხის დასკვნა და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ექსპერტთა სხდომაზე არ დასწრება არ შეიძლებოდა გამხდარიყო საკითხის განხილვის გადადების მიზეზი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმაც. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გახლდათ დადებითი, თუმცა გასათვალისწინებელი იყო გარკვეული რჩევები პროგრამის განვითარების მიზნით. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა ზოგადად პროგრამაზე და დასკვნაში ასახულ რჩევებთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიციაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამა გახლდათ ახალი, პროგრამა დაფინანსდებოდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტით, გამოცხადდებოდა ექვსი ადგილი, ექვსიდან სამი სტუდენტი ისწავლიდა სტიპენდიის გარეშე. დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებოდა დასკვნაში ასახულ რჩევებს, თუმცა აღნიშნულ ეტაპზე სურდათ განსხვავებული მიმართულებით განვითარება. ციფრული ჰუმანიტარია გახლდათ ახალი დარგი, რომელსაც ჰქონდა მრავალი მიმართულება, რაც ვერ მოიყრიდა თავს ერთ პროგრამაში. პროგრამის მიმართ გარე დაინტერესება აქტიურად იკვეთებოდა, თავად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეძენილ იქნა Trados - ის მთარგმნელობითი ინოვაციური პროგრამა ორენოვანი დოკუმენტების მეხსიერების ბალანსის შექმნის მიზნით.

აღსანიშნავი იყო რომ მითითებული პროგრამა ისწავლებოდა მხოლოდ მათ უნივერსიტეტში, რაც უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. იგეგმებოდა მთარგმნელობითი მეხსიერების ბაზის შექმნა და იმედი ჰქონდათ რომ არაერთი სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაცია ვალდებული იქნებოდა მათი დოკუმენტაციის ციფრული ორგანიზაცია უზრუნველყო აღნიშნული მეთოდით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სწავლების რესურსი საჭიროებდა თუ არა განსაკუთრებულ ტექნიკას ან აღჭურვილობას. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით დაწესებულება ფლობდა 17 სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას, გახლდნენ აღნიშნული პროგრამების ლიცენზირებული მომხმარებლები, ზოგიერთი პროგრამის ლიცენზია მოიცავდა ერთ წელიწადს, თუმცა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი გახლდათ გარანტი იმისა რომ მუდმივად მოხდებოდა პროგრამების შეძენა და განახლება. ასევე უნივერსიტეტში ხორციელდებოდა გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა, სადაც ასევე გამოიყენებოდა აღნიშნული პროგრამები და უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო მათი განახლების ხარჯები. აღნიშნულ ეტაპზე შვიდ კომპიუტერში სრულად იყო წვდომა პროგრამებზე, აგრეთვე მომწოდებელთან არსებობდა შეთანხმება სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში განხორციელებულიყო პროგრამების ჩატვირთვა დამატებით კომპიუტერებში. დაწესებულებას ასევე მოგებული ჰქონდა Volkswagen - ის გრანტიც, შექმნილი იყო ერთგვარი პლატფორმა ორმაგი დიპლომის მიღებისათვის, არსებობდა შეთანხმება Kings College-თან და ერთ-ერთი სამომავლო დოქტორანტი რომელიც აქტიურად იყო ჩართული epdop სტანდარტის განვითარებაში, გრანტის მოპოვების შემთხვევაში გააგრძელებდა სწავლას ინგლისში. ასევე გამოსული იყო epdop 9.0 ვერსია რომელსაც დაემატა ქართული, ებრაული, არამეული და სომხური ენები. ოთხივე დამატების ავტორი ციფრული ჰუმანიტარიის სტანდარტით გახლდათ ილიას უნივერსიტეტი.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვდა მონაცემთა ბაზას და სწორი ლოგიკით ჩაწერილ ინფორმაციას, მას აინტერესებდა რაში იქნებოდა გამოხატული დოქტორანტის როლი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადგილი იქნებოდა კომპიუტერული და ჰუმანიტარული ცოდნის გაერთიანებას.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა სამომავლო დოქტორანტის წინარე განათლება უნდა ყოფილიყო უფრო ინფორმატიკის განხრით, თუ ჰუმანიტარული მიმართულების. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპლიკანტს უნდა ჰქონოდა მიღებული ჰუმანიტარული ცოდნა მაღალ დონეზე, ხოლო ტექნიკურ ნაწილს, პროგრამის დაწერას, სპეციფიკური კოდების ცოდნას, აღნიშნულს შეისწავლიდა პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ციფრული ჰუმანიტარიის სპეციფიკა გახლდათ ჯგუფური თანამშრომლობა, ენათმეცნიერება არ არსებობდა სტატისტიკური კვლევების გარეშე, თუ ენათმეცნიერს არ ექნებოდა კვლევის ჩატარების და მონაცემების დამუშავების უნარი ის ელემენტარულად ვერ დაბეჭდავდა სტატიას.

17:40 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქიტექტურის ბაკალავრი 1101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, გიორგი ქურდიანმა განაცხადა, რომ ვიზიტის განხორციელებისას მთავარ სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ პროგრამა გახლდათ ახალი, შესაბამისად გასაუბრება შედგა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან. სტუდენტებმა განაცხადეს რომ არანაირ პრობლემას სწავლის პროცესში არ ჰქონია ადგილი, პროგრამა ხორციელდებოდა კარგად, პედაგოგსა და სტუდენტს შორის ინფორმაციის გაცვლა ხდებოდა იდეალურად, ხდებოდა სტუდენტთა უკუკავშირის შესწავლა. დასკვნაში ასახული რეკომენდაციების უმეტესობა ეხებოდა ძირითადად კრედიტების განაწილებას, რაზეც სასურველი იქნებოდა ესაუბრა ჯგუფის ხელმძღვანელს რომელიც არ ესწრებოდა სხდომას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ექსპერტის მოსაზრებით ეხებოდა პროგრამაში სტუდიური სწავლების მეთოდის გათვალისწინებას, ვინაიდან სტუდიური სწავლება სტუდენტს მისცემდა საშუალებას მოეხდინა თეორიული ცოდნის აკუმულირება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წევრები იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, დასკვნაში ასახული იყო რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა როგორც ინფრასტრუქტურას ასევე შინაარსობრივ მხარეს, კრედიტების განაწილებას, საუბარი იყო პროპორციაზე ზოგადსაუნივერსიტეტო და სპეციალიზაციის საგნებს შორის. სწორედ აღნიშნული ბალანსი იქნებოდა საბოლოო ჯამში იმის განმსაზღვრელი გავიდოდა თუ არა პროგრამა საბოლოო შედეგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა განემარტა დაწესებულების პოზიცია დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებთან მიმართებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კრედიტების გადანაწილებასა და სტრუქტურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კანონპროექტი რომელიც ეხებოდა არქიტექტურის რეგულირებად სფეროს ჩარჩოში მოქცევას ჯერ არ იყო დამტკიცებული, შესაბამისად პროპორცია სავალდებულო და საუნივერსიტეტო საგნებს შორის აღნიშნულ ეტაპზე არ იყო დაცული და პროგრამა აწყობილი იყო არსებული სტანდარტის ფორმატში. მიუხედავად აღნიშნულისა უნივერსიტეტი მხედველობაში იღებდა კანონპროექტის სამომავლოდ დამტკიცების პერსპექტივას, დიდი რაოდენობის არჩევითი საგნები შეტანილი იქნა პროგრამაში სპეციალობის მიმართულებით, რაც მისცემდა სტუდენტს საშუალებას შეესწავლა არქიტექტურისათვის აუცილებელი სასწავლო კურსები შედეგზე გასვლის მიზნით. საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მინიმუმ 120 კრედიტი უნდა ყოფილიყო დათმობილი ძირითადი სპეციალობის საგნებისთვის, უნივერსიტეტმა ძირითადი სპეციალობის საგნებს დაუთმო 140 კრედიტი ხოლო დარჩენილი კრედიტები გადაანაწილა შემდეგნაირად: უცხო ენის კომპონენტს, აკადემიურ წერას და საინფორმაციო ტექნოლოგიებს დაეთმო 15 კრედიტი, მაინორს დაეთმო 60 კრედიტი, თუმცა ასევე შემუშავდა თავისუფალი კრედიტები იმისათვის რომ სტუდენტს აეთვისებინა არქიტექტურის სპეციალობის საგნები 10 კრედიტის მოცულობით.

უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში დაწესებულების წარმომადგენელმა განუცხადეს ექსპერტებს, რომ როგორც კი კანონპროექტი შევიდოდა ძალაში, პროგრამის სტრუქტურა მოერგებოდა მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი მზად იქნებოდა რეაკრედიტაციის მიზნით ცენტრში წარედგინა ახალი სტანდარტების საფუძველზე სახეცვლილი პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ როდესაც იქმნებოდა პროგრამა საორიენტაციოდ აღებული იქნა ათი საუკეთესო არქიტექტურული სკოლის პროგრამა, მაგალითად რომისა და ტორინოს უნივერსიტეტის პროგრამები. შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამის სტრუქტურა გადაანაწილა ევროპული უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იმ შემთხვევაში თუ ძალაში შევიდოდა კანონპროექტი არქიტექტურის რეგულირებადი სპეციალობების ნუსხაში შეტანის თაობაზე უნივერსიტეტს მოუწევდა არსებული პროგრამის გადახალისება, რაც გამოიწვევდა სპეციალიზაციის საგნების რაოდენობის გაზრდას არჩევითი საგნების ხარჯზე, შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა აკადემიური პერსონალის რესურსიც. თავმჯდომარეს აინტერესებდა შეძლებდა თუ არა უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფას ახალი სტანდარტების და კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ადგილობრივი აკადემიური პერსონალის რესურსი, რაც პროპორციულად შეესაბამებოდა ნახევარზე მეტს, ხოლო დარჩენილი რაოდენობა შევსებული იქნებოდა მოწვეული პერსონალით. ასევე საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება გამოაცხადებდა კონკურსს. დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან საუბარი ასევე შეეხო სტუდიურ სწავლებას. სტუდიური სწავლების არსი მდგომარეობდა სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა კურსის ნამუშევრების თავმოყრაში, ერთ სახელოსნოში გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვინაიდან პროგრამა გახლდათ ახალი, აღნიშნული სისტემა მიმდინარე ეტაპზე ვერ ამუშავდებოდა. სტუდიური სწავლების უზრუნველყოფა გარკვეულწილად შესაძლებელი გახდებოდა მესამე-მეოთხე კურსიდან, მას შემდეგ რაც სტუდენტები დააგროვებდნენ გარკვეულ გამოცდილებას და ექნებოდათ ნამუშევრები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გათვლა გაკეთებული იქნა 30 სტუდენტზე, თუმცა 10 სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაშიც კი პროგრამა ამოქმედდებოდა.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, სტუდიური სწავლების გარეშე გავიდოდა თუ არა პროგრამა მიზანზე. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული კომპონენტის გარეშე შესაძლოა იყო ადგილი ჰქონოდა გარკვეულ პრობლემებს, ვინაიდან სტუდიური სწავლება უზრუნველყოფდა სტუდენტების მხრიდან უკუკავშირის პროგრამასთან დაკავშირებით და არსებული ცოდნის გაზიარებას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდიური სწავლება გახლდათ ერთ-ერთი მეთოდი მაგრამ არ იყო ერთადერთი გზა შედეგის მისაღებად, თუმცა მისი განცხადებით როგორც კი გაიზრდებოდა სტუდენტების რაოდენობა, დაახლოებით მესამე კურსიდან, დაწესებულება უზრუნველყოფდა აღნიშნული მეთოდის შემოღებასა და დანერგვას.

საბჭოს წევრი ნატო გენგიური დაინტერესდა როგორ ხდებოდა პრაქტიკული ცოდნის განვითარება, ვინაიდან პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სტუდენტის არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ცოდნით უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაფორმებული იყო მემორანდუმი თბილისის მერიასთან და მას შემდეგ რაც სტუდენტი დაიწყებდა მუშაობას პროექტირებაზე იგი გაივლიდა პრაქტიკას მერიაში და გაეცნობოდა პროექტირების და მშენებლობის რეგულაციებს და საერთაშორისო სტანდარტებს. მემორანდუმები იყო ასევე გაფორმებული სხვადასხვა კერძო არქიტექტურულ და სამშენებლო კომპანიებთანაც. პროგრამაში ჩართულები იყვნენ ბულგარელი და გერმანელი ექსპერტები, მათთან გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები და აღნიშნული დოკუმენტაცია წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებისას.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ინგლისურენოვანი, ხოლო მოთხოვნილი ინგლისური ენის დონე განისაზღვრებოდა B1-ით, რაც მისი მოსაზრებით არ იქნებოდა საკმარისი ინგლისურენოვანი სწავლების შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული დონე დადგენილი იყო ეროვნული გამოცდებით, რაც განსაზღვრული იყო ბაკალავრიატის საფეხურზე ჩასარიცხად. დაწესებულება ატარებდა წინასწარ ტესტირებას ჩარიცხვის შემდგომ და განსაზღვრავდა სტუდენტის ენის ცოდნის დონეს. დონის დადგენის შემდეგ იზრდებოდა საკონტაქტო საათები და ლექტორი სტუდენტთან მუშაობდა განსაზღვრული დონის შესაბამისად. ინგლისურენოვან პროგრამებთან დაკავშირებით არსებობდა რეგულაცია იმის თაობაზე, რომ სტუდენტს უნდა ჩაეხარებინა მხოლოდ ინგლისური ენა. აგრეთვე წინა წელს გაიზარდა ინგლისური ენის კომპეტენციის ზღვარი და დადგენილი იქნა 35.1%. იმ სტუდენტებთან, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ ინგლისური ენის დონეს სწავლება მიმდინარეობდა გაძლიერებულად ინდივიდუალური გეგმით. იმ შემთხვევაში თუ კი სტუდენტი ვერ დაძლედა ინგლისურენოვან პროგრამას ცხადდებოდა შიდა მობილობა და გადადიოდნენ ქართულენოვან სექტორზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს გაეზარდათ ენის კომპეტენციის დონე და მოეთხოვათ B2 დონე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ თავმჯდომარის მოსაზრებას და ეტაპობრივად გაზრდიდნენ მოთხოვნას და ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარიც დაწესებულების მიერ იქნებოდა გაზრდილი.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე საგნად რომელი საგანი იყო განსაზღვრული ჩაბარების მსურველთათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეოთხე საგანს წარმოადგენდა მათემატიკა ან ხელოვნება.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში ისწავლებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელიც მოიცავდა საოფისე პროგრამების სწავლებას, რაც მისი მოსაზრებით არ შეესაბამებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მასშტაბს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ ზოგადსაუნივერსიტეტო საგანი.

16:45 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^ა მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო ცენტრის წინაშე შუამდგომლობდა, რომ მომხდარიყო პროგრამის გადამოწმება მონიტორინგის გზით. მონიტორინგის საფუძველი გახლდათ ინგლისური ენის დონის დარეგულირება, კერძოდ საჭირო იყო მინიმალური კომპეტენციის ზღვრის აწევა და ასევე დაწესებულებას სწავლების პირველ ეტაპზე უნდა უზრუნველყო პროგრამის სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის გაზრდა B2 დონემდე.

17:25 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გაიანე სიმონია.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერია
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის დოქტორი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა ირინა გოცირიძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და გიორგი ქვარცხავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით Skype-ის მეშვეობით ისაუბრა საერთაშორისო ექსპერტმა ლორენ ქოუნილონმა. საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა ჯერ არ იყო ამოქმედებული და მისი შემოწმება მოხდა პროექტის სახით, პროგრამა შემუშავებული იყო საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების გაგრძელების მიზნით და ემსახურებოდა სამ ციკლიანი განათლების კურსის დასრულებას. პროგრამაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები, კერძოდ დამსაქმებლები, რომლებიც გამოხატავდნენ მზაობას კურსდამთავრებულთა სამომავლო დასაქმებისათვის. აღნიშნული მიუთითებდა პროგრამის მოთხოვნადად დასაქმების ბაზრის კუთხით. მიუხედავად აღნიშნულისა პროგრამას გააჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, აუცილებელი იყო გამართული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემუშავება, პროგრამა გადატვირთული იყო თეორიული კურსებით, რაც აღნიშნული სფეროსთვის არ იყო რელევანტური და საჭიროებდა უფრო მეტი პრაქტიკული კურსების დამატებას და ლაბორატორიული სამუშაოების და კვლევების გაძლიერებას. ასევე საჭირო იყო პროგრამის აკადემიურ პერსონალს მეტი ჩართულობა დაეფიქსირებინა პროგრამის შემუშავებასა და მისი ამოქმედების უზრუნველყოფაში.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამის შემუშავებაში სასურველი იყო პრაქტიკოსების და სტუდენტების ჩართვა, ასევე შეფასების მეთოდების დახვეწა. პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს შეუწყობდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინება.

ექსპერტმა ციციწო თურქაძემ განაცხადა, რომ პროგრამის შეფასებისას აკრედიტაციის არსებული სტანდარტების თანახმად ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველი ოთხი სტანდარტი შეფასებული იქნა როგორც ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი, ხოლო მეხუთე სტანდარტი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. აღნიშნულის მიზეზი გახლდათ ის, რომ მეხუთე სტანდარტი რომელიც გულისხმობდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არსებობას, რომელიც მიმართული იქნებოდა პროგრამის გაუმჯობესებისაკენ უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებდა სათანადოდ. არ იკვეთებოდა ხარისხის უზრუნველყოფის ზოგადი საუნივერსიტეტო სტრატეგია პროგრამის მომზადების და მისი სამომავლო განხორციელების პროცესში. პირველი ოთხი სტანდარტის შეფასებაც, როგორც ნაწილობრივი გამომდინარეობდა სწორად მეხუთე სტანდარტში მითითებული მექანიზმის არასწორად ფუნქციონირების გამო. სახეზე იყო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზები და პროგრამაში არსებული შეუსაბამობები შეფასების სისტემაში, მათ შორის დაწესებულების ვებ-გვერდზე ატვირთულ ინფორმაციაში და ა.შ.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

პროგრამის ხელმძღვანელმა ირინა გოცირიძემ განაცხადა, რომ პროგრამა შექმნილი იყო საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამების ლოგიკური გაგრძელების სახით. უნივერსიტეტის უკვე ჰყავდა სამაგისტრო საფეხურის უცხოელი კურსდამთავრებულები, რომლებიც დასაქმებულები გახლდნენ, ერთ-ერთი სტუდენტი დასაქმებული იყო ირანში, ხოლო კიდევ ერთი სტუდენტი მოღვაწეობდა პოლონეთში ქალაქ კრაკოვში სწორად ბიოსამედიცინო ინჟინერიის მიმართულებით. აღნიშნული ნიშნავდა იმას, რომ სადოქტორო პროგრამა შექმნილი იქნა კურსდამთავრებული სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე. პროგრამის შექმნაზე მუშაობა დაწყებული იქნა მიჩიგანის უნივერსიტეტთან ერთად. აღსანიშნავი იყო, რომ მიდგომა სადოქტორო პროგრამების მიმართ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში იყო განსხვავებული. ამერიკის შეერთებულ შტატებში აქცენტი კეთდებოდა სასწავლო კურსებზე. მიუხედავად აღნიშნულისა პროგრამის ხელმძღვანელი ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტებს იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა გადატვირთული იყო თეორიული კომპონენტით, სილაბუსებში, რომელთაც წინასწარ ეცნობოდნენ საბჭოს წევრები წარმოდგენილი იყო როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კურსებიც. პროგრამაში ჩადებული თემატური სემინარი რომელიც ექსპერტების მიერ მიჩნეულ იქნა ცარიელ თეორიულ სასწავლო კომპონენტად რეალურად მოიაზრებდა სტუდენტის მიერ არჩეულ თემაზე გაკეთებულ სემინარს. ასევე საგანი კვლევის მეთოდები ბიოსამედიცინო ინჟინერიაში გულისხმობდა კვლევის მეთოდების შესწავლას. რაც შეეხებოდა საგანს სწავლების მეთოდებს და განათლების მენეჯმენტს რომელსაც ეთმობოდა ექვსი კრედიტი და დასკვნაში მოხსენიებული იყო როგორც მინუსი ვინაიდან დათმობილი ჰქონდა საათების დიდი რაოდენობა, მისი მეორე თავი გახლდათ ინკორპორირებული და ითვალისწინებდა პროფესორის ასისტენტობას რაც გულისხმობდა ხელმძღვანელთან ლექციების, სემინარების ჩატარებას. შესაბამისად უნივერსიტეტი სადოქტორო თემის დებულების თანახმად არ ჰქონდათ შესაძლებლობა ცალკე კომპონენტად ჩამოეყალიბებინათ პროფესორის ასისტენტობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრისგან ილმონიემი რისტოსგან მან მიიღო წერილი სადაც ექსპერტი განაცხადებდა, რომ პროგრამა მის მიერ მოწონებული იქნა და ნანახი იყო უფრო მეტი ვიდრე დოკუმენტაციაში იქნა წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ფაკულტეტზე დაცული დისერტაციების ინგლისურენოვან რეზიუმეებს. წარმომადგენლისათვის ცოტა გაუგებარი იყო რატომ იქნა შეფასებული მეხუთე სტანდარტი უარყოფითად. ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის ოთხკომპონენტთან ციკლი გახლდათ განგრძობადი პროცესი, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა. ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი იყო ყველა დოკუმენტაცია მათ შორის შეფასების დოკუმენტები, რაც ნათლად ასახავდა ხარისხის

უზრუნველყოფის სისტემის მუშაობას. ვიზიტის მიმდინარეობა დაყოფილ იქნა ორ ნაწილად იმისათვის რომ ექსპერტთა ჯგუფს ენახა ის გარემო სადაც სტუდენტებს მოუწევდათ თავიანთი აქტივობების განხორციელება ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკაში.

ექსპერტებს შესთავაზეს კლინიკის დათვალიერება რაც ვერ მოხერხდა და მოხდა მხოლოდ გასაუბრება დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტში მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტების მიერ ნანახი იქნა მხოლოდ ერთი ლაბორატორია და არ მოინდომეს სხვა ლაბორატორიების დათვალიერება. პროგრამაში აქტიურად იყვნენ ჩართულები დამსაქმებლები აკადემიური პერსონალის გარდა, ასევე აკადემიური საბჭოს დადგენილებით იცვლებოდა შეფასების სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით გარკვეული პრობლემები რაც ასახული იყო დასკვნაში და ეხებოდა დოკუმენტაციის ნაწილის ქართულ ენაზე წარმოდგენას, ვადაგასულ დოკუმენტებს და ა.შ. იკვეთებოდა ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციული პრობლემები რაც პირდაპირ უკავშირდებოდა მენეჯმენტს და დიდ უნივერსიტეტებში არსებულ ბიუროკრაციას. პრობლემას წარმოადგენდა ასევე თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების თანაფარდობა და დიფერენცირება. მისი მოსაზრებით ტექნიკურ დარგებში მეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა პრაქტიკას სპეციფიკიდან გამომდინარე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაში უფრო მეტად ჩანდა თეორიული კურსები, ვიდრე პრაქტიკულ უნარებზე გამსვლელი კომპონენტი, სილაბუსებშიც წარმოდგენილი იყო თეორიულ კურსებზე გათვლილი 50 კრედიტის გაშლა.

18:21 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 19:10 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის 3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად გამოვლინდა სამი ძირითადი პუნქტი, რაც უნდა გაეთვალისწინებინა დაწესებულებას აღნიშნული ერთი წლის მანძილზე პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად პირველი სტანდარტის 1.2 და 1.3 პუნქტებში მოყვანილ მსჯელობას და

მითითებული ქვეპუნქტების თანახმად დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებას, არჩევითი კურსების ინტეგრირებას პროგრამაში სხვა და სხვა გამოცდილების მქონე სტუდენტებისათვის და სავალდებულო კურსების სახით ყოფილიყო წარმოდგენილი რადიაციული უსაფრთხოების დაცვის საგნები, ვინაიდან გარკვეულ სტუდენტებს არ ექნებოდათ გავლილი აღნიშნული საგნები.

19:20 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა სხდომის მდივანმა გიორგი ოდოშაშვილმა.

სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა



პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართლის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნაში ასახულ ძირითად გარემოებებთან დაკავშირებით ისაუბრა ექსპერტმა დიმიტრი გეგენავამ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 18 დეკემბერს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოდგენილ იქნა დადგენილ ვადებში. ხუთი კომპონენტიდან სამი ნაწილობრივ შეესაბამებოდა სტანდარტს, ხოლო ორი კომპონენტი არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. საბოლოო ჯამში დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგს:

- პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და მიზნების მიღწევადობის ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია იყო პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ყველა ვალდებულების აკადემიურ დონეზე განხორციელება. ამიტომაც, უნდა გადახედილიყო სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებული საკითხები, სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები, სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები.

- პროგრამის მიზნების მიღწევადობის მტკიცების მიზნით, აუცილებელი იყო შექმნილიყო ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკა და დოქტორანტებს წვდომა ჰქონოდათ აქტუალურ, თანამედროვე, დარგის ახალ მიღწევებზე ორიენტირებულ სალიტერატურო წყაროებზე და ახალ გამოცემებზე, რომელთა გაცნობითა და შესწავლით ისინი საკუთარი უნარებით, პროფესიონალიზმითა და ღირებულებებით თავსებადი იქნებოდნენ ცოდნის სტანდარტების იმ სივრცეში, რაც დეკლარირებული იყო უნივერსიტეტის მისიით, ამავდროულად, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკით - ევროპული სტანდარტებისკენ სვლის მიზნით.

- პროგრამის მიზანი - შეექმნა ახალი ცოდნა და შეეთვაზებინა სტუდენტისათვის კვლევის ინოვაციური მეთოდები, საჭიროებდა ახსნას და დეტალიზებას პროგრამის შინაარსით (და სათანადო კომპონენტებით), რათა უკეთ ყოფილიყო გაგებული პროგრამის მიღწევადობის შედეგები, ამავდროულად, - პროგრამის მომხმარებლისთვისაც უკეთ ყოფილიყო გაგებული, რატომ უნდა აერჩია კონკრეტულად აღნიშნული პროგრამა და არა სხვა.
- პროგრამის მიზნის მიღწევადობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილი იყო გადახედილიყო ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების გამოყენების პოლიტიკა, აუცილებელი იყო მყარი ურთიერთკავშირების გამოკვეთა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში უნდა განსაზღვრულიყო უცხო ენათა როდენობა ჩამონათვალის სახით, რათა უნივერსიტეტს არ შეეძლოდა პრობლემა მიღებული დოქტორანტის იმ ენაზე სწავლის რესურსით უზრუნველყოფის კუთხით, რომელ ენაზეც ლიტერატურაც (მათ შორის, ელექტრონული) არ მოიძიებოდა მის საბიბლიოთეკო ბაზაში. ამასთან, უცხო ენის განსაზღვრა ხელს შეუწყობდა პროგრამაზე მიღების გამჭვირვალობასა და ღიაობას.
- დებულებაში უნდა გაწერილიყო ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა სადისერტაციო თემატიკის წინასწარ განსაზღვრა, რომელზეც დოქტორანტობის მსურველ პირს შეეძლებოდა ჩაბარება.
- უნდა განსაზღვრულიყო მიმღები დარგობრივი კომისიის მუშაობისა და კონკურსში მონაწილე პირთა შეფასების კრიტერიუმი.
- უნივერსიტეტს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილში, სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უნდა გაემიჯნა შეთავაზებული კომპონენტების მიხედვით, რომელიც სრულ თანხედრაში იქნებოდა თითოეული კომპონენტის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან და რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს მიღწევას.
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებისთვის აუცილებელი იყო სამართლის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგს ემუშავა გამართულად, ასევე სპეციალური ბაზებზე წვდომა როგორც იყო: "Lexisnexis" და "Heinonline" - უნივერსიტეტს უნდა უზრუნველყო სტუდენტებისთვის;
- სამართლის სკოლის დოქტორანტს, აუცილებელი იყო ჰქონოდა საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის უფლება;
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონოდა სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება;
- მნიშვნელოვანი იყო, სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის გავლის შემდგომ დოქტორანტი პრაქტიკულად, და არა თეორიულად, გამოემუშავებინა ყველა ის უნარ-ჩვევა რასაც საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტი ითვალისწინებდა;
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებულად ჩაითვლებოდა, თუ აღნიშნული უნივერსიტეტის დოქტორანტი/დოქტორი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი იქნეოდა. ამისათვის კი, აუცილებელი იყო დოქტორანტების მიერ დამუშავებული სტატიები, სასემინარო ნაშრომები და სადისერტაციო ნაშრომი ყოფილიყო აქტუალური, ამ მიზნიდან გამომდინარე, საჭირო იყო მაქსიმალურად მომხდარიყო წახალისება, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა

სრული დაფინანსება საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნება. იმისთვის, რომ სტუდენტს შეეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ნაშრომის დამუშავება, საჭირო იყო გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი კვლევითი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი ყოფილიყო სამართლის ყველა დარგის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანი იყო, უნივერსიტეტს მიეწოდებინა სტუდენტისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ და აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაეწია კონსულტაცია.

- უნივერსიტეტს უნდა უზრუნველყო დოქტორანტებისთვის წიგნად ფონდებზე უშუალო წვდომა და ბიბლიოთეკაში დამატებითი სივრცის გამოყოფა;

- ელექტრონული კატალოგი უნდა ყოფილიყო მოქნილი, ყველა წიგნი უნდა ყოფილიყო შეტანილი და მარტივი გადამოწმებით უნდა შეძლებოდა დოქტორანტს წიგნის მოძიება;

- აუცილებელი იყო იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზების ინტეგრირება კვლევის პროცესში. რამდენიმე მნიშვნელოვან ელექტრონულ სამართლებრივ ბაზაზე (მაგ., HEINONLINE, BECKONLINE, LEXINEXIS, WESTLAW და ა.შ.) შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა უნდა გაზრდილიყო დოქტორანტების სამუშაო სივრცე და დამატებოდა დოქტორანტთა რიცხოვნობის პროპორციულად სამუშაო ადგილები, კომპიუტერები და ა.შ;

- აუცილებელი იყო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გარკვეული პერიოდული ციკლის დაცვით განხორციელებულიყო პროგრამის შეფასება, ე.წ. SWOT ანალიზი, რომლის შედეგებზე დაკვირვების შედეგები გაანალიზდებოდა და აისახებოდა საგანმანათლებლო პროგრამაზე;

- აუცილებელი იყო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად აქტიურად და რეალურად ყოფილიყო გამოყენებული შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რა პროცესშიც რეალურად იქნებოდა ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე;

- აუცილებელი იყო პროგრამის განხორციელებაში, სწავლებასა და კვლევის ხელმძღვანელობაში ისეთი პირები ყოფილიყვნენ ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება ექნებოდათ, რაც, თავის მხრივ, განმტკიცებული იქნებოდა შესაბამისი როდენობისა და ხარისხის აკადემიური ნაშრომებით კონკრეტული კვლევითი მიმართულებით. ამასთან, პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით არ გულისხმობდა და ვერ იქნებოდა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ პირს აკადემიური თვალსაზრისით ეყოფოდა უნარები და გამოცდილება დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის;

- აუცილებელი იყო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სრულად ყოფილიყო ასოცირებული უნივერსიტეტთან და მისი პირველადი და ძირითადი საქმიანობა კვლევა, პროგრამის ხელმძღვანელობა ყოფილიყო, რათა მაქსიმალურად ბევრი დრო დაეთმო პროგრამის განხორციელებასა და მის შემდგომ განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მაია თორდიამ განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა მიღებული ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა, უნივერსიტეტს ცენტრში გადმოგზავნილი ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა საბჭოს წარუდგინა ცენტრის მიერ გაგზავნილი წერილის ასლი, სადაც ფიქსირდებოდა, რომ 2018 წლის 29 იანვარს 11:00 საათზე დაწესებულებას გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, როგორც ფოსტით ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაწესებულების ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, რომელიც მათ გაეგზავნათ ცენტრის მიერ,

პოზიციის წერილში მითითებული გარემოებები არ იქნა გაზიარებული და ექსპერტების პოზიცია იყო უცვლელი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო მიზნული უნივერსიტეტთან და უნდა ჰქონოდა დრო დოქტორანტებისათვის, პროგრამის ხელმძღვანელმა დაწერა განცხადება და გათავისუფლებული იქნა პროგრამის ხელმძღვანელობიდან. მის მოვალეობას აღნიშნულ ეტაპზე ასრულებდა პროფესორი პოლიკარპე მონიავა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებს განემარტათ, რომ დოქტორანტები გახლდათ ის ნაკადი, რომელიც უნივერსიტეტში მოდიოდა სალამოობით და შაბათ დღეს. ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მითითებული იყო ხელმძღვანელთან კონსულტაციის საათები და დოქტორანტს შეეძლო ტელეფონის მეშვეობითაც დაკონტაქტებოდა ხელმძღვანელს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საუბარი ეხებოდა არა საორგანიზაციო, არამედ შინაარსობრივ ნაწილს, დოქტორანტს არ ევალებოდა უნივერსიტეტში ყოველდღიური სიარული, მას სახლშიც შეეძლო თემაზე ემუშავა მითუმეტეს სამართლის სფეროში ვინაიდან აღნიშნული არ გახლდათ ტექნიკური სფერო, სადაც საჭირო იყო პრაქტიკული ხასიათის აქტივობების ჩატარება..

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სუბიექტურ ხასიათს ატარებდა აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებების შეფასება, კერძოდ მათ პროფესორს გიორგი გოგიაშვილს ჰქონდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებული გაზეთ რესპუბლიკაში, ხოლო დასკვნაში ეწერა, რომ პუბლიკაციები აკადემიურ პერსონალს უმეტესწილად გამოქვეყნებული ჰქონდა საგაზეთო გამოცემებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტის სპეციფიკა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ საბჭოს შემადგენლობაში ყოფილიყო მოწვეული დარგის აღიარებული სპეციალისტი, რომელიც არ იქნებოდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ადამიანის კომპეტენცია არ უნდა დამდგარიყო ეჭვის ქვეშ იმის გამო, რომ მითითებული იყო საგაზეთო პუბლიკაცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ საუბარი ეხებოდა ფაქტს იმის შესახებ, რომ სამეცნიერო ნაშრომების ნუსხაში მითითებული იყო საგაზეთო პუბლიკაცია, ასევე, ერთი და იგივე ნაშრომის გამოქვეყნება სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში მიიჩნეოდა თვითპლაგიატად მათ შორის გადამუშავებული სახითაც.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამართლის სფეროშიც საკმაოდ ცუდი პრაქტიკა იყო, როდესაც ერთი და იგივე ნაშრომს პირი აქვეყნებდა მრავალ გამოცემაში სხვა და სხვა წელს. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მთავარი გახლდათ თემატურად და საგნობრივად ძლიერი აკადემიური პერსონალი, მაგალითად როდესაც პროფესორი გახლდათ საკორპორაციო სამართლის სპეციალისტი და რეზიუმეში უთითებდა, რომ 2015 წელს საკორპორაციო სამართალში დაწერილი ჰქონდა სახელმძღვანელო, 2016 წელს საგადასახდო სამართალში, შემდეგ ეკოლოგიის სამართალში, აღნიშნული მისი აზრით, გახლდათ არასერიოზული. წარმოდგენილ აკადემიურ პერსონალის უმეტესობაში ფიქსირდებოდა მსგავსი მიდგომები, რაც არ იყო სწორი პროფესიული თვალსაზრისით. საკვლევი თემატიკა გახლდათ სხვა ხოლო სასწავლო თემატიკა სხვა. ყველა უნივერსიტეტში, გერმანული უნივერსიტეტებიდან დაწყებული მოიცავდა პროფესორის სასწავლო საქმიანობას, რაც გულისხმობდა ლექციების წაკითხვას სხვა და სხვა სამართლის მიმართულებებში, მაგრამ კვლევის საგანი არ ეთითებოდა დივერსიფიცირებულად, ვინაიდან იგი უნდა ყოფილიყო კონკრეტიზებული, რადგან პროფესორის ძირითადი საკვლევი თემატიკა არ შეიძლება ყოფილიყო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული და სამართლის მიმართულებები სხვადასხვა დარგებში განხორციელებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგებოდა განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც უნივერსიტეტი მიიღებდა დოქტორანტს, მინიმუმ ხუთი ადამიანი დასჭირდებოდა იმისათვის, რომ ჰყოლოდა ორი შემფასებელი - ოპონენტი, ხელმძღვანელი და სადისერტაციო საბჭოს წევრი. საინტერესო იყო ჰყავდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი აკადემიური პერსონალი, ჰქონდათ თუ არა რესურსი აღნიშნული გუნდის ჩამოსაყალიბებლად. მისი მოსაზრებით, სამართლის მოქმედი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს არ უნდა ჰქონოდა მხოლოდ სამი პუბლიკაცია, ასევე მისი მოსაზრებით პროგრამაში ჩართულ მ. ოშხარელი ვერ იქნებოდა სადოქტორო თემის ხელმძღვანელი, ვინაიდან იგი გახლდათ კარგი პრაქტიკოსი და არა მეცნიერი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰყავდათ აკადემიური პერსონალი, დაახლოებით შვიდი ადამიანი, რომლიდანაც ერთი იქნებოდა პროგრამის ხელმძღვანელი ხოლო დანარჩენი ჩაერთვებოდა დისერტაციის შეფასებაში, ასევე დისერტაციის პერიოდული შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების ახალი რედაქციით აღარ იყო საჭირო, მხოლოდ საბოლოო შეფასებას განახორციელებდნენ სადისერტაციო კომისიის წევრები.

საბჭოს თავმჯდომარის განაცხადებით, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი დაწესებულებას უპირველეს ყოვლისა ეზრუნა საკუთარი აკადემიური რესურსის ჩამოყალიბებაზე და არ ყოფილიყო ორიენტირებული გარე რეფერირებაზე, მოწვეულ შემფასებლებზე. თუმცა, აღნიშნული სისტემა იგებოდა არსებულ, საკუთარ აკადემიურ პერსონალზე და ხდებოდა მასზე დამატება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტისათვის გარე რეფერირება იყო სრულიად მისაღები და ვერ ხედავდნენ აღნიშნულში პრობლემას. ვინაიდან საკმაოდ საინტერესო იყო როდესაც სხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორი შეაფასებდა საკუთარ უნივერსიტეტში შექმნილ სადისერტაციო ნაშრომს. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გარე რეფერირება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კარგი თუ კი ძირითადად პროგრამა დაკომპლექტებული იქნებოდა ადგილობრივი აკადემიური პერსონალით და მოწვეულ წევრებს დამატებით მოიწვევდნენ.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა სადისერტაციო საბჭოში ადგილობრივი და მოწვეული პერსონალის პროპორციით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭო შედგებოდა 31 ადამიანისგან საიდანაც 18 იყო ადგილობრივი პერსონალი.

რაც შეეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსს, უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი საკანონმდებლო მაცნესთან, ასევე სტუდენტებს უნივერსიტეტი ურიგებდა ყველა საჭირო ნორმატიულ მასალას. რაც შეეხებოდა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებს, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გაწერილი იყო და გეგმავდნენ შეძენას. საბიბლიოთეკო სივრცესთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში აღნიშნულ ეტაპზე იყო 7 სივრცე და ფოტოებიც გამოგზავნილი იყო ცენტრში.

რაც შეეხებოდა ლინკების მითითებას სილაბუსებში, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და ვინაიდან ჯგუფი ხელმძღვანელობდა თავდაპირველი დოკუმენტაციით არ მიეცათ საშუალება ექსპერტებისათვის ეჩვენებინათ გასწორებული სილაბუსები. სწავლის დაწყებამდე გადამოწმებული იქნა ყველა ლინკი რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი. აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა გაუგზავნა დაწესებულებას დღის წესრიგი, პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრა დაგეგმილი იყო ოთხ საათზე, თუმცა როდესაც პროგრამის ხელმძღვანელი გამოცხადდა დღის წესრიგში მითითებულ დროს აღნიშნულმა გამოიწვია ექსპერტების გაკვირვება.

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ დღის წესრიგი გახლდათ სტანდარტული ფორმის, პირველი შეხვედრა მოიცავდა ადმინისტრაციას, ხოლო მეორე

თვითშეფასების ჯგუფს, წარმოდგენილი იყო პროგრამის თვითშეფასება მომზადებული ყოფილიყო პროგრამის ხელმძღვანელის გარეშე, შესაბამისად თავისთავად იგულისხმებოდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და ხარისხი უნდა ყოფილიყო შეხვედრაზე. ასევე წარმოდგენილი იყო ძირითადი მიგნებების გაცნობის სესიას არ დასწრებოდა პროგრამის ხელმძღვანელი. დღის წესრიგში პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრა ოთხი საათზე იყო მითითებული იმ შემთხვევისათვის თუკი ჯგუფს ექნებოდა დამატებითი შეკითხვები მასთან.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ მართლაც იწვევდა გაკვირვებას ის ფაქტი, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თავიდანვე არ ესწრებოდა აკრედიტაციის ვიზიტს, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მთავარი მიგნებების გაცნობამაც ჩაიარა ხელმძღვანელის გარეშე. მისი მოსაზრებით, აღნიშნული გახლდათ ელემენტარული პასუხისმგებლობის საკითხი.

უნივერსიტეტი წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა ორგანიზაციასთან, რომელიც უზრუნველყოფდა მათ დაწესებულებაში პლაგიატის აღმომჩენი სისტემით დანერგვას უახლოეს მომავალში. ასევე უნივერსიტეტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა დებულება, რომელიც არ იქნა მოთხოვნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ექსპერტის განცხადებით პლაგიატთან მიმართებით საუბარი ეხებოდა პლაგიატის ფორმალურ სტანდარტებს და ეთიკის ნორმებს.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ პროგრამის ავტორი. მას შემდეგ, რაც მოხდა ხელმძღვანელის ცვლილება, როგორ მოხდებოდა პროგრამის განხორციელება, ადგილი ექნებოდა მითითებების კუთხით მუშაობის გაგრძელებას და რა რეგულაცია ჰქონდა ხარისხის სამსახურს, ვინაიდან მისი მოსაზრებით პროგრამა მთლიანად შეიძლებოდა შეცვლილიყო, თუ მას აღარ ეყოლებოდა იგივე ხელმძღვანელი, რომელმაც ორგანიზება გაუწია პროგრამის შემუშავების პროცესს და რომელიც უშუალოდ იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ აკადემიური პერსონალი, უბრალოდ მას შემდეგ რაც დადგა საკითხი ექსპერტების მიერ, რომ იგი ბოლომდე უნდა ყოფილიყო ჩართული უნივერსიტეტის საქმიანობაში მან უარი განაცხადა პროგრამის ხელმძღვანელობაზე, ვინაიდან იგი გახდა მოსამართლე მას შემდეგ რაც უკვე მომზადდა პროგრამა, შესაბამისად მას მანამდე ჰქონდა შესაძლებლობა ბოლომდე ყოფილიყო ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

21:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:15 საათზე.

საბჭოს წევრების მოსაზრებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები შეიცავდა არსებითი ხასიათის ხარვეზებს. მათი გამოსწორების გარეშე პროგრამის შედეგებზე გასვლა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. აკრედიტაციის დებულების თანახმად, აკრედიტაციის საბჭო ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რაც იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 11

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.



5. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სტომატოლოგი 0902
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	300

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა ეკატერინე ბეშვენაძემ ისაუბრა დასკვნაში ასახულ ძირითად გარემოებებთან დაკავშირებით. ძირითადი შენიშვნა პროგრამასთან მიმართებით მდგომარეობდა კლინიკურ სწავლებასთან მიმართებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა გახლდათ ნორმალური, უზრუნველყოფილი იყო ყველა საჭირო აღჭურვილობით, თუმცა სტუდენტებს არ ჰქონდათ საშუალება უშუალოდ ემუშავათ პაციენტებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი იყო შესულიყო ცვლილებები სილაბუსში, კერძოდ უნდა შეცვლილიყო სწავლის მეთოდოლოგია და შეფასება. მხოლოდ აღნიშნული ცვლილებების შემდგომ იქნებოდა შესაძლებელი პროგრამა შეფასებული ყოფილიყო დადებითი კუთხით.

ექსპერტის მოსაზრებით, მეორე კურსზე აუცილებელი იყო დაწყებულიყო საფანტომო სწავლება, შემდგომ მოსდევდა მას პროფედევტიკა ორთოდონტიაში და უნდა მოეცვა 12 საათი. აღნიშნული პერიოდი მოიცავდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. უნივერსიტეტს უნდა მიეცა სტუდენტისათვის კლინიკური სწავლება თეორიულ ცოდნასთან ერთად. ამის შემდგომ მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტს უნდა ჰქონოდა საშუალება ემუშავა პაციენტთან. უნივერსიტეტს ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე ჰქონდა საშუალება გაეკეთებინა საუნივერსიტეტო კლინიკა სადაც პრაქტიკას განახორციელებდნენ მოწვეული სპეციალისტები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები სტომატოლოგიურ კლინიკებთან, სადაც სტუდენტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ექნებოდათ წვდომა პაციენტებთან, ასევე უნივერსიტეტი ზრუნავდა

იმისათვის რომ მომავალში გაეხსნა საკუთარი საუნივერსიტეტო კლინიკა, რასაც მოწმობდა ლაბორატორიის უზრუნველყოფა, მულაჟების შეძენა და ა.შ. რომლის ნახვის საშუალებაც ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს. ასევე მიმდინარეობდა სიმულატორების შეძენაზე მოლაპარაკებები პრე-კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში 40 კლინიკური საგანი მოიცავდა უშუალოდ სტომატოლოგიურ პროფილს, რომელთა სილაბუსებშიც გაწერილი იყო თუ როგორ ტარდებოდა პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები. საფანტომო სწავლებას პროგრამა ითვალისწინებდა მესამე სემესტრიდან სამი სემესტრის განმავლობაში ხოლო მეექვსე სემესტრიდან უშუალოდ კლინიკებში განხორციელდებოდა სწავლება, სადაც სტუდენტები პროფესორის მეთვალყურეობის ქვეშ შეასრულებდნენ მარტივ მანიპულაციებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უშუალოდ ადგილზე ორთოპედებთან და თერაპევტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც გულისხმობდა, რომ სტუდენტებს ექნებოდათ მხოლოდ დამკვირვებლის ან ასისტენტის როლი, მეცადინეობა გაიწერებოდა 2 საათიანი გრაფიკით და რეალურად სტუდენტს მოუწევდა ერთი საათი კლინიკაში დროის გატარება რაც ნაკლები შედეგის მაჩვენებელი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ სამწუხარო იყო, რომ სტომატოლოგის პროფესია ევროპისგან განსხვავებით საქართველოში არ იყო რეგულირებადი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია თუ რას ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან გამომდინარე და რას არ მიიღებდნენ მხედველობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა მუდმივად ვითარდებოდა, განსაკუთრებით თუ კი საქმე ეხებოდა მედიცინის სფეროს, დაწესებულებას ჰქონდა საკმაოდ დრო სექტემბრამდე იმისათვის რომ გამოეყოთ სათანადო თანხები კლინიკის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო პერსონალის გადამზადება ოსკის პროგრამის მიხედვით, რაც გახლდათ საკმაოდ რთული და სტრუქტურირებული გამოცდა რაც საჭიროებდა ფინანსებს, ადამიანურ რესურსს და სათანადო ცოდნას. ექსპერტმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალი ნამდვილად საჭიროებდა გადამზადებას, ვინაიდან რამდენიმეს ნაკლები გამოცდილება ჰქონდა, გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა 1-2 წლის წინ და არ ჰქონდათ სათანადო ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნის მეოთხე სტანდარტში კერძოდ 4.2 ქვეპუნქტში საუბარი იყო, რომ პერსონალი საჭიროებდა კლინიკურ ცოდნას სტომატოლოგიურ საგნებში. მას აინტერესებდა რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეგმავდნენ 30 სტუდენტის მიღებას.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ინგლისურენოვანი, მიღება ხორციელდებოდა ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რის მიხედვითაც ინგლისური ენის მოთხოვნა განისაზღვრება B1 დონით, რაც საკმაოდ დაბალი სტანდარტი იყო ინგლისურენოვანი პროგრამისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გათვლა უნივერსიტეტს გარკვეულწილად ჰქონდა უცხოელ სტუდენტებზე, რომლებიც ირიცხებოდნენ ეროვნული გამოცდების გარეშე, ხდებოდა უცხოენოვანი სტუდენტების ცოდნის დონის შემოწმება ტესტირების მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კი ჩარიცხვის მსურველი იქნებოდა ქართველი სტუდენტი მოითხოვდნენ ინგლისური ენის კომპეტენციის ზღვარის ცვლილებას და გაზრდას ეროვნულ გამოცდაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის რეზიუმეებზე დაყრდნობით და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობის ინგლისური ენის ცოდნის დონე იყო საშუალო. ერთ-ერთ ლექტორს მითითებული ჰქონდა გერმანული ენა ინგლისურის ნაცვლად, გასაუბრებისას ასევე მოთხოვნილ იქნა თარჯიმანი. დაწესებულების წარმომადგენელმა

განაცხადა, რომ დასკვნაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაფერი არ იყო დაფიქსირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საბჭოს წევრები ვიზიტისას არ იმყოფებოდნენ ადგილზე. ადგილზე გახლდნენ ექსპერტები რომელთაც ყველა საექვო გარემოება უნდა აესახათ დასკვნაში.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა თანამშრომლობდა თუ არა უნივერსიტეტი სააგენტოებთან რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის უცხოელი სტუდენტების მოძიებას. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მუშაობდა სტუდენტების მოზიდვის მექანიზმზე. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა უცხოელ სტუდენტებზე, თუმცა მოიაზრებოდა ადგილობრივი სტუდენტიც.

21:49 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 22:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის 3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ აღნიშნულ პერიოდში უზრუნველყოთ კლინიკური უნარ-ჩვევებისათვის საჭირო სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა, აუცილებლად უნდა გადაემზადებინათ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ჩაებარებინათ ოსკის გამოცდა და უზრუნველყოთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომა 22:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული



მდივანი
გიორგი თდოშაშვილი



ლევან გორდეზიანი

